



# ჩემს ღანძრულს

მაგრამ როცა დავბერდებით, მოვხუცდებით, შევირხვეთ,  
როცა წარსულს მოვიგონებთ ჩიფჩიფით და თავის ქნევით,  
და ჩვენს თმებში — ოქროს თმებში — როს შევამჩნევთ ვერცხლის სიმებს;  
ნეტავ კიდევ ჩვენი გული ასე გრძნობით გაიღიმებს?  
გაიღიმებს. რადგან სული — შეყვარებულთ წმინდა სული —  
თვით ბუნების დროთა ცვლაშიც არ იქნება დაქსაქსული  
და ეს ჟინი ჭაბუკური, ეს ქცევა და ეს თარეში  
თან ჩავყვება სამარეში.

მაშინ წავალთ ნაცნობ ტბასთან, სადაც სიყრმე გავატარეთ,  
სადაც ეჭვით ვივსებოდით, სადაც ბლომად ვინეტარეთ  
და მოვინახავთ ჩვენს ნაცნობ ბუჩქს, ბუჩქს ჩარდახათ გადმომდგარსა,  
ერთის გრძნობით აღესილნი მოვუსხდებით ირგვლივ, გარსა, —  
და დღეს, როგორც თეთრი სიო ანაოქებს ტბის თეთრ სიცილს,  
ისე მაშინ შენი სუნთქვა შუბლს გამიხსნის, შუბლს დაკეცილს  
და იმღერებს წარსულის ჰანგს მომავლის მგონის სიმი  
აწმყოს ჩანგზე დანაჭიმი.

და არ დავწერ არც ერთ სტრიქონს! და არ გეტყვი არც ერთ ბწყარსა!  
ცრემლს თვალთაგან აღარ მოვსხლეთ, ცრემლს სტვირით მოწანწყარსა!  
და ეგ შენი სილამაზე, ჯერ არვისგან არ ნახული,  
მხოლოდ გულში იყვავილებს, იქ მექნება შენახული,  
და დავხუთავ გულის სარკველს, დავადუმებ ჩემს ჩანგს ქებულს,  
ცხად სიხმრებში გაბანავებ საოცნებოდ აფეთქებულს.  
და დაშრება ოკეანე, დაირღვევა თვით კლდე, ხოლო  
არ ექნება ტრფობას ბოლო.

დღეს არა გრძნობს სიკვდილს გული, სიცოცხლესაც, რა ვქნა, არ გრძნობს,  
და რასაც ვგრძნობ ამ „რალაცას“ ველარავინ გამოიცნობს: —  
დღეს ჟხვი ვარ, დღეს მსურს ყველას გავუმელავნო დაფარული,  
დავიჩემო დრო და სივრცე, შევიყვარო სიყვარული,  
მაგრამ — მაშინ? — შევიქნები ისე ძუნწი და კრიჟანგი,  
რომ თვით შენგან მონაცემი ჩემი გრძნობა, ჩემი ჰანგი  
და თვით ქალის საიდუმლო, და თვით მგონის წმინდა ვნება  
მოგერთმევა ნება! ნება!

ჯერ კი... ჯერ კი პატარა ხარ, პაწაწკინა, ახალგაზდა,  
ჯერ ეგ ტუჩი ანაკოკრი კოცნით ვერც კი ალამაზდა,  
ჯერ ნორჩი ხარ... ჯერ ცრემლიც კი არ ამშვენებს მაგ შენს თვალებს,  
მარალივით დაკქრიალობ და ევლები მთის მწვერვალებს,  
ჯერ ვერ იგრძნობ რა ძალა აქვს შენს ნაკეთოვან კაბის ნახევს,  
ჯერ ვერ იგრძნობ ლექსის გრძნობას, თვით გრძნობისგან ნაკარნახევს,  
ჯერ ეგ შენი მასლაათი ხან ცელქი და ხან კისკისა  
აკორდია მუსიკისა.

მაგრამ როცა დავბერდებით, მოვხუცდებით, შევირხვეთ,  
როცა წარსულს მოვიგონებთ ჩიფჩიფით და თავის ქნევით  
და ჩვენს თმებში — ოქროს თმებში — როს შევამჩნევთ ვერცხლის სიმებს: —  
ნეტავ კიდევ ჩვენი გული ასე გრძნობით გაიღიმებს?  
გაიღიმებს. რადგან სული — შეყვარებულთ წმინდა სული —  
თვით ბუნების დროთა ცვლაშიც არ იქნება დაქსაქსული  
და ეს ჟინი ჭაბუკური, ეს ქცევა და ეს თარეში  
თან ჩავყვება სამარეში.

ი. გრიშაშვილი.

## რუსეთის ასპარეზი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).



ჩაის სმა ხანგრებში.



ხანგრებს აკეთებენ.

# როგორ აგროვებენ ინგლისში ჯარის-კაცებს

ქუჩაგზის გამოკრულია პლაკატები ასეთი სურათებით და წარწერებით



ამ სურათს წარწერა აქვს.



ჯარის-კაცი მუშას: „ჩვენ ორთავენი საჭირონი ვართ სამშობ-  
ლოსათვის: გამრავლდეს ჯარი, უღვევლ ჰქმენით ყუმ-  
ბარები.“

„წადი, ჩემო ძვირფასო ბავშვო! მოვალეობა გიხმობს.“

## მეშვენილე

მატილდა სერაოხი.

პატარა გოგონა მერქანთის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაზე მიდიოდა და ნელ-ნელა ეკვროდა სახლის კედლებს. არ იყურებოდა მალაზიის ფანჯრებში არ ავლებდა თვალს ცის გრძელ, გრძელ ზოლს, მაღალ სახლებ შორის რომ მოსჩანდა ზემოდ, წინაც კი არ იცქირებოდა. დაჰყურებდა მხოლოდ ქვევს, თითქოსა სთვლისო. მიდიოდა ისე, პირდაპირი, არ აქცევდა ყურადღებას ლაფს ქვა-ფენილზე, გამვლელ-გამომლელთა მუჯღუგუნებს, ეტლებს, იშვიათად რომ გამოიქროლებდნენ ხოლმე. ჩერილოს პატარა ეკლესიასთან რომ მივიდა, სადაც იესო ქრისტეს ქანდაკება იყო, წითელ წამოსასხამით, ეკლის გვირგვინით თავზე, შუბლზე და გულზე შემხმარი სისხლით და უძრავი, ცრემლით სავსე თვალებიანი, გოგონამ გულგრილად გადაავლო თვალი ქანდაკებას და გამობრუნდა უკან ნელი, უსიცოცხლო სიარულით.

ეს მათხოვარა იყო. ო, ძლიერა ჰშიოდა, სწყუროდა, სციოდა. ამ თებერვლის სუსხიან დღეს ტანზე სულ ერთი რაღაც პერანგი ეცვა და დაფლეთილი, დაძინძილი პაწია ქვედა-ტანი, წელზე რომ თოკით შემოეჭირა, ყელზე კი მოქსოვილ ყელ-სახვევის ნაგლეჯი. მორჩა და გათავდა. ძალზე გამხდარი იყო გოგონა, თითქმის ტყავი და ძვალი. პერანგის და ქვედა-ტანის გამოხეულებში, უსისხლო, თითქმის ნაცრის ფერი სხეული უჩანდა. ყელ-სახვევ ქვეშ ლავიწს ამოეყო წვერი, თითქოს მზად არის ტყავი გამოიჭიოსო. ადვილად წარმოვიდგებოდათ ბავშვის ავადმყოფი, დამდნარი მკერდი. მხრები მოსწვეტიანებოდა და მოჰკუზოდა, ისე, როცა სცივით და იკუზებიან, ან და როცა სიმშლით ეწვით კუჭი და მუცელზე ხელს იჭერენ, რომ ეს წვა გაინელონ. სახე დადინჯებული ჰქონდა და ისევე ჩალურჯებული, როგორც სხეული. შუბლი დაბალი, დანაოჭებული; წარბი ვიწრო, შეკრული, მონაცრო ქუთუთოიანი ძალზე დიდი თვალები, ჩაცვივნილი, ჩაღრმავებული. მკაცრი, ცივი, დადედაკაცებული სახე უყვითელ, ცივ ტუჩებიანი, თითქოს მკვდარიყო, პატარა, მოკუმული პირი. პირის აქეთ-იქით კი, კუთხეებში, ორი ნაკეცი მოხუცივით. ის შვიდი წლისა იყო.

ერთხელ იმასაცა ჰყავდა დედა, ისეთივე ილაჯ-გაწყვეტილი, მიმქრალი, გატანჯული, როგორც ეხლა ის. პორთის ქუჩებში ისინი ერთად დაეხეტებოდნენ მოწყალეობაზე ხელ-გაშვერილი. ხშირად ხმელი ლუქით იკვებებოდნენ და კიბის ქვეშ ეძინათ ჩალაზე: დედა

მოკუნტული და ეს პატარა გოგონა მის მუხლზე თავ-მიდებული. დედა სახადმა იტანა, ეს კი ასე მარტოკა დარჩა. იმას არ უტირნია, არ უყვირნია. ჩუმად, მარტოკა წაცუნცულდა მოწყალეობაზე. მაგრამ გროში არ უშოვნია, იმ დღეს ლუქმა არ მიჰკარებია იმის პირს და პორთის ეკლესიის კარებში ეძინა, კიბის საფეხურზე მოკუნტული, ვით პატარა ფინია.

სამი წელიწადი იმის ცხოვრება ისე, თანაბრად მიჩანჩალებდა. მან არაფერი იცოდა, არაფერი ახსოვდა, ცხოვრება ისე წარმოედგინა, ვით სიმშლის გრძელი, გრძელი დღე, დაუბოლოვებელი. წოწიალს დილიდან დაიწყებდა ხოლმე. იმისი სახლი მერქანთის ქუჩა იყო, გრძელი, ვიწრო, გველივით დახლავნილი. ყველაფერი იცოდა აქ, ყველაფერი, ყველა მისახვევ-მოსახვევი, ბნელი კუნჭულები, მურტლიანი მერხები, ბინძური პატარა მდინარეები, სახლის სუსტად განათებული შესასვლელები, უსწორ-მასწორო, ციკაბი კიბეები. პორთის პატარა მოედნიდან ჩერილოს პატარა ეკლესიამდე მიდიოდა შეუჩერებლივ, იქიდან უკან. მოედნიდან ნახევრად შეუხვევდა ხედილეს ძველ ქუჩაზე, გადაავლებდა თვალს ღმერთ ორიონის ქანდაკებას, კედელზე რომ იყო მიკრული, და მეცაქანონეს ქუჩაზე შებრუნდებოდა, ფეხებს ისვრიდა მღებავთა ცისფერ, წითელ, ლილის ფერ წყალში, აქ ბნელ კუნჭულებში რომა მუშაობდნენ დიდ, შავ ქვაბების გარშემო, თითქოს რაღაცა საიდუმლო სალაფსა ზელავდნენ. ქუჩის ბოლომდე რომ ავიდოდა, უკან გამობრუნდებოდა, იქით ველარა ჰპედავდა ფეხის გადადგმას და არც კი მიჰხედავდა სასადილოს, სადაც კუპატებსა და თევზსა ჰხრაკავდნენ, და პროვანსულ ზეთის სუნს ავრცელებდა ისე, ან და რაღაცა დამარილებული, დამუქუქებული ისეთი ძლიერი სუნი იდგა. შემდეგ შეუხვევდა სანთა-ბარბაროს პატარა, ჭუჭყიან კიბეზე და ავიდოდა ცნობილ მეკუპატის დუქნამდე, მაგრამ კუპატების დანახვაზე მას თავ-ბრუ ესხმოდა და უკან გამოიქცეოდა ხოლმე. ჩამოივლიდა, გაჩერდებოდა ღვინის დუქნის წინ და აუზს მიაჩერდებოდა, ხელოვნურ კლდესავით რომ იყო გამოკვეთილი, სადაც არ იყო წყალი, მაგრამ დიდ, მწვანე ფოთლებში მუზას ამოეყო თავი. აქედან ისევ გზას გაუდგებოდა, მივიდოდა ჩერილოს ეკლესიამდე და ისევ უკან გამოტრიალდებოდა, ფრთხილად, ნელა. კედელ-კედელ მოიპარებოდა, გამვლელ-გამომვლელთა შორის მოძვრებოდა.

ეს შავ-ბნელი, ვიწრო, ჭუჭყიანი ქუჩაბანდები, სილატაკე, ბინძური სახლები, სიმყრალე, ბნელეთი, უმწეობა, შიშის მომგვრელი ალაყაფის კარებები, ასვავებული თვალი ვაჭრებისა და საეჭვო სახე მუშტრისა, ქუჩის დედაკაცების სულელური გამომეტყველება, დამ-

ტვერიანებული, დამპალი საქონელი—ეს იმ გოგონას ქვეყანა იყო, ის იქა სცხოვრობდა. მას ბუნდოვანად წარმოედგინა, რომ სანთა-ბარბარას, მეცაქანონეს და ჩერილოს ზევით, ბატონის ასულ მარჰარიოს ქუჩის ბოლოს სხვა ქვეყანა იწყებოდა, მაგრამ იქ წასვლას ვერა ჰბედავდა, იქ წასვლა ეშინოდა, ძლიერ ეშინოდა. მერქანთის ქუჩის ბოლოზეც ეშინოდა, ეშინოდა სხვა მათხოვარა ქალებისა, მას რომა სცემდნენ, ეშინოდა ძაღლების, ეშინოდა პოლიციისა, რომელსაც შეეძლო ის დაეპატიმრებინა, მაგრამ მარჯვე, ეშმაკი, ის ყველა საფრთხეს თავს დააღწევდა ხოლმე. იქ კი, „ზევით“ ვინ იცის რა განსაცდელი მოელოდა. საზღვრამდე რომ მივიდოდა, ზევით იქვიანად შეიხედავდა და თითქოს დაედევნებო, მკლავს ხუჭუჭა თავზე მოიფარებდა და უკან მოჰკურცხლავდა.

მოწყალეებს იშვიათად თუ მისცემდა ვინმე. ყველა ეს საქმის ხალხი, დღიურ ლუკმა პურზე მზრუნავი, მედუქნეები, ისე რომა სცილობდნენ მუშტარი—გლეხები მოეტყუებინათ, ბარგის მზიდავნი, საპალნის ქვეშ რომ ისე მოხრილიყვნენ, მწვირიანი, დაკონკილ-დაბრანძული მოახლეები—არ აქცევდნენ ყურადღებას. ხანდისხან ის ქურდი ეგონათ, ჯიბეებს ისინჯავდნენ და იგინებოდნენ, ზოგი, თუმცა რიგან ტანისამოსში გამოწყობილიყვნენ, ღარიბი იყვნენ და მის დანახავზე მხრებს იშვებდნენ. ზოგს ზიზი მოსდიოდა იმას რომ დაინახავდა და კინწის კვრით გააგდებდნენ ხოლმე. ჯერ ხმა-მალა შესწუწუნებდა გოგონა, თითქმის ძალაზე სთხოვდა პურისა-ვის სოლდოს\*), რადგან აგერ ერთი დღე-ღამე იყო არაფერი ეჭამა და კუჭი ძალას ატანდა, შემდეგ ხმა დაუმაბლა, მუდარად იქცა, სლოკინობდა, ცივი ცრემლები ლოყებზე ჩამოსდიოდა. თითქოს ისე, აავისდაუნებურად დდიოდა ის წინ და უკან ისე, რაღაც გაუგებარ სიტყვებსა ჩურჩულებდა, ვიდრე გახურებულ ყელში ხმა სულ არ მიუწყებოდა, მაშინ ის მოწყალეებს მომუდარე თვალით და ევედრებოდა.

სალამო ჟამს, თუ ვერაფერს იშოვნოდა მთელი დღე, მოქანცულობით მუხლი მოკვეთებოდა. თავბრუდარსებული, ტორტმანით გასწევდა პორთის ეკლესიისკენ. მოწყვეტილი დაეცემოდა იმის კიბის საფეხურზე და უძრავად იდო, თითქოს ძონძები დაუგროვებიათო, კენესა, ყრუ კენესა ამოისმოდა იქიდან მხოლოდ. რომ დაისვენებდა, წამოდგებოდა ისე, ისე დაიწყებდა ხეტიალს მუშებში, სამუშაოდან რომა ბრუნდებოდნენ, დადიოდა სახლიდან სახლად, სანთს რომ ანთებდნენ უკვე და ღია დუქნებიდან საქმლის სუნი გამოდიოდა. ამ დროს ხანდისხან მისცემდნენ ხოლმე ორ სანტიმს\*\*), პურის ნატებს, „კატლეთის“ ნაჭერს ან ცოტაოდენ ხაშს. მაგრამ ხშირად იყო ისეც, რომ ესეც არაჰქონდა და ისე მიეგდებოდა, თავბრუ დარსებული, გრძობა-მოჩლუნგებული. მთელი დღე თუ ჩაუშვებდა პირში ცოტაოდენ ყურძნის დამპალ ჩენჩოს ან და ცერცვის ქერქსა. შაბათი ყველაზე ბედნიერი დღე იყო: ამ დღეს ერთი დედაკაცი აჩუქებდა ხოლმე მას სოლდოს. ამ ქალს წითელი, აბრეშუმის ყელსახვევი ჰქონდა ყელზე შემოხვეული. ქვედატანი მოკლე ეცვა, ფეხ-საცმელი მალა ქუსლიანი და მწვანე ქოჩოჩიანი. ზეთ-წაცხებული თმა მალა ჰქონდა შეკეცილი და შიგ დიდი, ვერცხლის სავარცხელი ჩარჭობილი, ლოყებზე კი ჭიფერი ჰქონდა გადაკრული. ეს ქალი ერთი სახლის შესავალთან იდგა მუდამ, ხელები ფეშტამლის ჯიბეებში ჩაეყო, უაზრო სახით გაიციქობოდა, თვალს აცეცებდა რაღაცას და ნელა დილინებდა სულ ერთსა და იმავე სიმღერას.

გოგონა დღეში რამდენიმეჯერ გაუვლიდა ხოლმე გვერდში, მაგრამ ის სოლდოს მხოლოდ შაბათობით აძლევდა. და ასე ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში. შემდეგ ის ქალიც ვაჰქრა. ქაში ჩაიხრჩო თავი,—მაგრამ თვითონ, თუ ვინმემ ძალაზე ჩააგდო—არ იცოდა.

ამ დღესასწაულის დღეს გოგონას ისე ეგონა—გვედებო. ყოველს წუთს ჯანი ეკარგებოდა და ძირს დაეშვებოდა, დუქნები დაქეტილი იყო, გამველნი ყურადღებას არ აქცევდნენ, გვერდში სწრაფად ჩაურბენდნენ ხოლმე და „იქ“, ზემოდ მიეშურებოდნენ. უნებლიედ გააყოლებდა თვალს საწყალი... პორთის ეკლესიაში შევიდა. ეკლესია ცარიელი იყო. დიდი, დიდი ეჩვენა ისე შეეშინდა. შიშ-

ველი ფეხები მარმარილოზე ეყინებოდა, მედავითნემ გარედ გამოაგლო და ისიც ისევე შეუღდა უდაბნო ქუჩებში ხეტიალს. გრძობდა გოგონა მარტოობას, სასო ეკვეთებოდა. ყველანი „იქ“ წავიდნენ, ზევით. ბოლოს სიმშიშმა თავისი ჰქმნა, შიში დაავიწყა. უნებლიედ გადასცდა ბავშვი საზღვარს, გაიარა რუა-ქათალანას მოედანი და სან-ჯუზუპეს კიბეს შეჰყვა. გაოცდა, გაუჭვირდა გოგონას, რაცა ჰნახა: დიდი, ფართე ქუჩები, სუფთა მალაზიები, თეთრი სრა-სასახლეები, ბაღები, ცა, ცა! შეჰყურებდა ამ საოცარ სანახაობას, გადაავიწყდა სიმშილი, გადაავიწყდა სრულიად, როცა სათამაშოების მალაზიის წინ შეჩერდა. „ზევით“ ყველაფერი საამო იყო, მშვენიერი და გაჰყვა ხალხს, მედინას შადრევანისკენ რომ მიდიოდა. ჩერდებოდა გოგონა ყოველს წუთს, აღფრთოვანებული, ცნობის მოყვარე, მოწყალეების თხოვნა გადაჰვიწყებოდა. მხოლოდ ეტლები უხეთქავდნენ გულს, მაგრამ ისა სცილობდა ქუჩის ნაპირ-ნაპირ ეგლო. მუნიჩი-პიოსთან მოქანცა, მოილალა. ბაღში სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ მალე წამოხტა ისე და სან-კარალოსკენ გაექანა. იქ კი აირია ხალხში, გაიტაცა სან-ფერდინანდოს მოედნისაკენ. ხალხში ვერაფერსა ჰხედავდა, მაგრამ თბილოდა, კარგი იყო. ჟამ და ჟამ დაინახავდა ჰაერში ყვავილების კოპწია თაიგულს, შემდეგ კიდევ გაისრიალებდა, კიდევ, კიდევ, ყვავილები წვიმასავით აირევოდა. დრო და დრო ხალხი ნაპირს ეცემოდა—ეტლი გაეტარებინა, რომელშიაც ლამაზი ქალბატონი იჯდა ყელამდე ყვავილებში. მოფრინდებოდნენ, გაბრწყინვებული, შარი-შური, გაიელვებდნენ და სწრაფად გაჰქრებოდნენ. ეს უფრო აშინებდა გოგონას. ასე გადიოდა დრო, ბინდებოდა, ყვავილები ჰაერში ნაკლება ცვიოდა, ყრიაბული სწყდებოდა, ხალხი მიდი-მოდიოდა, კლებულობდა. გოგონას გვერდით, თითქოს მბრწყინავი ლანდიაო, ჩაიარა შავ-ტანისამოსიანმა ქალმა. თეთრი, მოლიმარი სახე ჰქონდა, ვეება აღმაზეები ნაზ ყურებში ჩამოკიდული. ხელში ყვავილის კალათი ეჭირა, შიგ პატარა თაიგულები ეწყო. ეს იყო მიყვავილე. აღებულ ფულს კალათში ჰყრიდა.

— ქალბატონო, ქალბატონო, — წაიბურტყუნა გოგონამ, — მაჩუქე ერთი ყვავილი!..

მეყვავილემ ლამაზი, სწრაფი ხელის გაქნევით ჩაუყარა მას ხელში მთელი ბლუჯა მიხაკისა. გოგონამ გაიცინა და ერთი ყვავილი პერანგის კილოში გაიკრეო. რაკი ყვავილი ბევრი ჰქონდა, გარდასწვრიტა გაეყინა. მაგრამ იმისაგან არავინა ჰყიდულობდა. ერთმა სტუდენტმა მიახალა: „ესლა არა, როცა დიდი იქმნებო!“ ვილაცა სქელი ბატონი აღელდა, მათხოვარა რომ დაინახა და ლანძღვა დაიწყო—პოლიცია უმოქმედობას იჩენსო. გოგონა იმის სიტყვებს ვერ მიჰხვდა, მიჰხვდა კი, რომ იმისათვის კარგი არ უნდოდათ, აქაც კი, აქაც, „ზევით“, სდევნიდნენ იმას. დაბრანძული იყო, დაკონკილი, ფეხ-შიშველი, უშნო, ულამაზო. იმისი დიდი, დაქვეცილი თვალები ხალხს აფრთხობდა, აფრთხობდა იმისი აბურძგვნილი, აწვეწვილი თმა. ულამაზებმა სიმშილმა მწველი ცეცხლი აუთთო ისე გულში პატარას. ფრანგულ, თეთრი პურის საცობიდან რომ პურის და კუჭა-ტების სუნი გამოდიოდა, ის იბნდებოდა, თავბრუ ესხმოდა. თავის დაუნებურად აწვდიდა ისე ყვავილებს ყველას. თხოვნა კი აღარ შეეძლო, თავს ვეღარ იკავებდა, გული უქოთქოთებდა, ეტირებოდა, ეტირებოდა. ჩაიარა ჯარის-კაცმა, იყიდა მიხაკი, მისცა სოლდო. გოგონა საცობში შევიდა, იყიდა პური. ესეცა კმაროდა. ახლა შინ წასვლა მოიწადინა, ძველმა შიშმა კვლავ დაუწყო ლიტინი. ეტლებს გრიალი გაუდიოდათ, გულს უხეთქავდნენ პატარას, ის კი მეორე მხარეს უნდა გადასულიყო. ჩაღუნა თავი, გაექანა წინ... ეტლში ქალმა შეჰკივლა, გული წაუვიდა...

ქუჩის პირას სულსა ჰლევდა პაწია, უმანკო გოგონა. ფეხი მოჩენჩილი ჰქონდა. მიხაკი გარს შემოჰჟანტვოდა. ერთს ხელში ყვავილი ეჭირა და გულში იხუტებდა, მეორეში მაგრად ჩაებლუჯა პური. სახე მოჰლუშოდა, გაჰყვითლებოდა, პირი ნახევრად გაეღო, დიდი, სევდიანი თვალი კი გაკვირვებული მიეპურო ცაში.

სანგანიძე.

\*) იტალიური შავი ფული=2 კაპ.  
\*\*) სანტიმი=1/4 კაპ.

ბ—გ.  
ს—გ.

